

X კლასი

- 1) ეთანხმებით თუ არა გამონათქვამს:
ა) თუ სხეულზე ძალა არ მოქმედებს, იგი უძრავია; ბ) თუ სხეულზე ძალებმა მოქმედება შეწყვიტეს, იგი აუცილებლად გაჩერდება; გ) თუ სხეულზე ძალა მოქმედებს, მისი სიჩქარე აუცილებლად იცვლება.
- 2) განსაზღვრეთ რა დროში გაიზრდება მოდულით $0,6 \text{ მ/წმ}^2$ აჩქარებით მოძრავი სხეულის სიჩქარის მოდული 8 მ/წმ -დან 26 მ/წმ -მდე?
- 3) რა სითბოს რაოდენობა უნდა გადავცეთ $5 \text{ ლ წყალს } 25^{\circ}\text{C}$ -დან 80°C -მდე გასათბობად? წყლის კუთრი სითბოტევადობაა $C=4200 \text{ ჯ/კგ}^{\circ}\text{C}$.
- 4) რა დროში აიტანს $2,5 \text{ კვტ}$ სიმძლავრის ამწე 5 ტ მასის ტვირთს 10 მ სიმაღლეზე?
- 5) შეიცვლება თუ არა დადებითად დამუხტული სხეულის მასა თითოთი შეხებისას? უარყოფითად დამუხტულის? პასუხი დაასაბუთედ.